

## ლექსემა „ლაჩარი“ (ეტიმოლოგია)

**ავტორი:** ნანა მაჭავარიანი

თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი,

საქართველო თბილისი

**E-mail:** [nana.machavariani@tsu.ge](mailto:nana.machavariani@tsu.ge)

### ანოტაცია.

სიტყვა „ლაჩარი“ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში განმარტებულია შემდეგნაირად:

**ლაჩარ-ი** (ლაჩრისა) მშიშარა, მხდალი, ჯაბანი, ქალაჩუნა (საპირისპ. მამაცი). როცა უკან დახევა საშიშია, მაშინ ლაჩარიც-კი წინ წავაო (ხალხ.). მხნედ მივალ, ვერვინ დაგცინებს ლაჩარი შვილის ყოლაზე (ვაჟა). მასხრად იგდებდნენ მშიშარებსა და ლაჩრებს (ა. ყაზბ.). «ხანჯალი ამოიღე, შე ლაჩარო!» – შეუტია მილიციელმა (მ. ჯავახ.).

ლექსემა უნდა მომდინარეობდეს ტაპანთური ლაჩა „კოჭლი, უფეხო“-სიტყვიდან, რომელიც ტაპანთურში ადიღურებიდანაა შესული: **ლაშა**, < **ლაჩა**, „კოჭლი“. საგულისხმოა აგრეთვე ქართული ენის დიალექტებში იმერულსა და რაჭულში დადასტურებული სიტყვა **ლაჩაკვა**, / **ჩალაკვა**, რომელიც „ცაციას“ აღნიშნავს. სავარაუდოდ, მნიშვნელობის გადაწვევით, შეიცავს მითითებას გარკვეულ ფიზიკურ ნაკლზე :- სიკოჭლესა და მემარცხენეობა/ცაციობაზე, რომელიც კავკასიური მენტალიტეტით ნაკლად ითვლებოდა წარსულში.

ქართული ენის მსოფლხედვის გათვალისწინებით, სრულიად შესაძლებელია სიტყვა გადააზრიანებულიყო შეზღუდულ უნარიანის აღსანიშნავად, შემდეგ კი მნიშვნელობა გაეფართოებინა და მშიშარა, ანუ ლაჩარი აღენიშნა.

### შესავალი

სიტყვა „ლაჩარი“ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში განმარტებულია შემდეგნაირად:

**ლაჩარ-ი** (ლაჩრისა) მშიშარა, მხდალი, ჯაბანი, ქალაჩუნა (საპირისპ. მამაცი). როცა უკან დახევა საშიშია, მაშინ ლაჩარიც-კი წინ წავაო (ხალხ.). მხნედ მივალ, ვერვინ დაგცინებს ლაჩარი შვილის ყოლაზე (ვაჟა). მასხრად იგდებდნენ მშიშარებსა და ლაჩრებს (ა. ყაზბ.). «ხანჯალი ამოიღე, შე ლაჩარო!» – შეუტია მილიციელმა (მ. ჯავახ.).

### ძირითადი ნაწილი

ლექსემა უნდა მომდინარეობდეს ტაპანთური ლაჩა „კოჭლი, უფეხო“-სიტყვიდან, რომელიც ტაპანთურში ადიღურებიდანაა შესული: **ლაშა**, < **ლაჩა**, „კოჭლი“.

ჩვენი აზრით, სიტყვა უნდა დაიშალოს ასე: **ლაჩ-არ-ი**, სადაც **-არ** სუფიქსი, ერთი შეხედვით, ქართულ **-არ** სუფიქსად შეიძლება ჩაგვეთვალო; (შდრ: ჭადარი); თუმცა, ადიღურში **-რ** სუფიქსი სახელობითი ბრუნვისაა: **ჭალარ „ბიჭი“**. ( როგავა, კერაშევა 1966 : 61).

ადილეურში, როგორც ეს აღნიშნულია ადილეური ენის სახელმძღვანელოში, წინადადებაში სახელები შესაძლოა ძირითადი ბრუნვების ნიშნებითაც იყვნენ გაფორმებული და გაუფორმებელი სახითაც წარმოგვიდგნენ. (როგავა, კერაშევა 1966 : 59).

სავარაუდოდ, ტაპანთურში ადილეურიდან **ლამა**, < **ლაჩა** ლექსემა გაუფორმებელი სახით შევიდა.

საგულისხმოა აგრეთვე ქართული ენის დიალექტებში იმერულსა და რაჭულში დადასტურებული სიტყვა **ლაჩეკვა**, / **ჩალიკვა**, **ლაჩქია**, რომელიც „ცაციას“ აღნიშნავს. (ბერიძე 1986 : 38) სავარაუდოდ, მნიშვნელობის გადაწვეით, შეიცავს მითითებას გარკვეულ ფიზიკურ ნაკლზე :- სიკოჭლესა და მემარცხენეობა/ცაციობაზე, რომელიც კავკასიური მენტალიტეტით ნაკლად ითვლებოდა წარსულში.

### დასკვნა

ქართული ენის მსოფლხედვის გათვალისწინებით, სრულიად შესაძლებელია სიტყვა გადააზრინებულიყო შეზღუდულ უნარიანის აღსანიშნავად, შემდეგ კი მნიშვნელობა გაეფართოებინა და მშიშარა, ანუ ლაჩარი აღენიშნა.

### ლიტერატურა

**ბერიძე 1986** - ვუკოლ ბერიძე, სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1986.

**ქ. ლომთათიძე**, აფხაზური ენის ტაპანთური დიალექტი, თბილისი, 2020.

**როგავა, კერაშევა 1966** - Г. В. Рогова, З.И. Керашева, Грамматика Адыгейского языка, Краснодар, Майкоп, 1966.

**ქეგლ** - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი.